

სტრასბურგი, 2017 წლის 20 ნოემბერი

**ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE)**

**დასკვნა N° 20 (2017)**

**სასამართლოების როლზე კანონის ერთგვაროვანი გამოყენების უზრუნველყოფაში**

## **I. შესავალი**

1. კანონის თანასწორი და ერთგვაროვანი გამოყენება უზრუნველყოფს მის საზოგადო ხასიათს, კანონის წინაშე თანასწორობას და სამართლებრივ სიცხადეს. მეორე მხრივ, კანონის ერთგვაროვანი გამოყენების უზრუნველყოფამ არ უნდა განაპირობოს სამართლის სიხისტე და მისი სათანადო განვითარების არაჯეროვანი შეზღუდვა, ასევე არ უნდა დააყენოს ეჭვქვეშ მოსამართლეთა დამოუკიდებლობის პრინციპი.

2. მინისტრთა კომიტეტის მიერ განსაზღვრული ტექნიკური დავალების შესაბამისად, ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) დაევალა განეხილა სასამართლოების როლი კანონის ერთგვაროვანი გამოყენების უზრუნველყოფაში, ასევე განესაზღვრა შესაბამისი სტანდარტები და შეემუშავებინა რეკომენდაციები.

3. წინამდებარე დასკვნა მომზადებულია CCJE-ის წინა დასკვნების, CCJE-ის მოსამართლეთა დიდი ქარტიის (2010) და ევროპის საბჭოს შესაბამისი ინსტრუმენტების, კერძოდ კი, ევროპელ მოსამართლეთა სტატუსის შესახებ ქარტიის (1998) და მოსამართლეების დამოუკიდებლობის, ეფექტიანობისა და პასუხისმგებლობის შესახებ მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციის CM /Rec (2010)12 საფუძველზე (შემდგომში "რეკომენდაცია CM / Rec (2010) 12").

4. წინამდებარე დასკვნა ითვალისწინებს CCJE-ის წევრების პასუხებს კითხვარზე სასამართლოების როლის შესახებ კანონის ერთგვაროვანი გამოყენების უზრუნველყოფაში, რომელიც მოამზადა CCJE-ის ბიურომ<sup>1</sup>, ასევე ევროპის საბჭოს სამეცნიერო ექსპერტის, პროფესორ ალემ გალიჩის (ლუბლიანას უნივერსიტეტი, სლოვენია) მომზადებული ანგარიშის პროექტს და კითხვარზე პასუხების ანალიზს.

## **II. რატომ არის მნიშვნელოვანი კანონის ერთგვაროვანი გამოყენება?**

---

<sup>1</sup> კითხვებზე პასუხები (ეროვნული ანგარიშები) წარმოადგინა 34 ქვეყანამ: ალბანეთი, ანდორა, სომხეთი, ბელგია, ბოსნია და ჰერცეგოვინა, ბულგარეთი, ხორვატია, კვიპროსი, ჩეხეთი, დანია, ფინეთი, საფრანგეთი, საქართველო, გერმანია, უნგრეთი, ნიდერლანდების სამეფო, ნორვეგია, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, სლოვენია, შვეიცარია, შვედეთი, "ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონია", თურქეთი, ისლანდია, ირლანდია, იტალია, ლიხტენშტეინი, ლიტვა, ლუქსემბურგი, მალტა, მოლდოვის რესპუბლიკა, მონაკო, მონტენეგრო, უკრაინა და გაერთიანებული სამეფო.

5. კანონის ერთგვაროვანი გამოყენება აუცილებელია კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპის დასაცავად. გარდა ამისა, სამართლებრივი სიცხადე და განჭვრეტადობა კანონის უზენაესობის განუყოფელი ნაწილია. სახელმწიფოში, რომელიც კანონის უზენაესობის პრინციპს აღიარებს, მოქალაქეები მოელიან, რომ მათ მიმართ მოპყრობა ისეთივე იქნება, როგორც სხვების მიმართ და მსგავს შემთხვევებში შეუძლიათ დაეყრდნონ წინა გადაწყვეტილებებს, რათა უკეთ გაიაზრონ მათი მოქმედების, ან უმოქმედობის სამართლებრივი შედეგები.

6. ურთიერთსაწინააღმდეგო<sup>2</sup> სასამართლო გადაწყვეტილებების მიღებამ შეიძლება გამოიწვიოს სამართლებრივი გაურკვევლობა, რაც, დიდი ალბათობით, შეამცირებს საზოგადოების ნდობას სასამართლო სისტემისადმი, რომელიც, კანონის უზენაესობის პრინციპიდან გამომდინარე, სახელმწიფოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია<sup>3</sup>. კანონის ერთგვაროვანი გამოყენება ხელს უწყობს სასამართლოსადმი საზოგადოების ნდობის ამაღლებას და აძლიერებს საზოგადოების მხრიდან სამართლიანობისა და მართლმსაჯულების აღქმას.

7. თუ მხარეები წინასწარ გაარკვევენ, რა ვითარებაში არიან, შეიძლება მაშინვე სასამართლოს არც მიმართონ. იურისტებმა რაც შეიძლება ღრმად უნდა იცოდნენ, როგორი რჩევა მისცენ თავიანთ კლიენტებს და, აქედან გამომდინარე, დავის მხარეებმა რაც შეიძლება ზუსტად უნდა იცოდნენ თავიანთი უფლებები. პრეცედენტებმა/დადგენილმა პრეცედენტულმა სამართალმა (შემდგომში „პრეცედენტული სამართალი“), რომელიც ამკვიდრებს მკაფიო, თანმიმდევრულ და სარწმუნო წესებს, შეიძლება შეამციროს დავების გადაწყვეტაში სასამართლოს ჩარევის აუცილებლობა. მსგავს საქმეებში ადრე მიღებულ გადაწყვეტილებებზე დაყრდნობით, მით უფრო, თუ ეს გადაწყვეტილებები მაღალი ინსტანციის სასამართლოებმა მიიღეს, საქმეები შეიძლება უფრო ეფექტიანად გადაწყდეს.

8. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (შემდგომში „ევროპული სასამართლო“) ინტერპრეტაციით, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის (შემდგომში „კონვენცია“) მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლოს უფლება ასევე გულისხმობს კანონის ერთგვაროვან გამოყენებას. განსხვავებული ინტერპრეტაცია - როგორც სასამართლო სისტემის დამახასიათებელი თავისებურება - დასაშვებია.<sup>4</sup> ამგვარად, ერთსა და იმავე ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით, ერთსა და იმავე სამართლებრივ საკითხზე, სხვადასხვა სასამართლომ შეიძლება განსხვავებული დასკვნა გამოიტანოს, თუმცა ეს დასკვნა რაციონალური და დასაბუთებული უნდა იყოს.<sup>5</sup>

9. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში შიდა სასამართლოების, კერძოდ, უმაღლესი ინსტანციის სასამართლოების მიერ მიღებული განსხვავებული გადაწყვეტილებები შეიძლება წარმოადგენდეს კონვენციის მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტით დადგენილი სამართლიანი

<sup>2</sup> წინამდებარე დასკვნის ინგლისურ ვერსიაში ამ სიტყვის აღსანიშნავად გამოიყენება სიტყვა “conflicting”, ხოლო ფრანგულ ტექსტში - სიტყვა „contradictoire”.

<sup>3</sup> ECtHR, *Vinčić and others v. Serbia*, 44698/06, 2009 წლის 1 დეკემბერი.

<sup>4</sup> ECtHR, *Tomić and others v. Montenegro*, 18650/09 და სხვები, 2012 წლის 17 აპრილი.

<sup>5</sup> ECtHR, *Şahin and Şahin v. Turkey*, 13279/05, 2011 წლის 20 ოქტომბერი.

სასამართლო განხილვის მოთხოვნის დარღვევას. ამგვარად, უნდა შეფასდეს არსებობს, თუ არა (1) "ღრმა და გრძელვადიანი ხასიათის განსხვავებები" შიდა სასამართლოების პრეცედენტულ სამართალში, (2) ითვალისწინებს თუ არა ეროვნული კანონმდებლობა შესაბამის მექანიზმებს ასეთი შეუსაბამობების დასაძლევად, (3) გამოიყენება, თუ არა აღნიშნული მექანიზმები, (4) და რა მოცულობით გამოიყენება ისინი<sup>6</sup>. CCJE მიესალმება ისეთ განვითარებას, რომელიც ხაზს უსვამს მჭიდრო კავშირს სამართალწარმოების ერთგვაროვნებასა და თანმიმდევრულობას, და სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებას შორის.

### III. პრეცედენტული სამართალი, როგორც კანონმდებლობის წყარო

10. იმისგან დამოუკიდებლად, მიიჩნევა თუ არა პრეცედენტული სამართალი კანონმდებლობის წყაროდ და სავალდებულოა თუ არა მისი გათვალისწინება, წინა გადაწყვეტილებებზე დაყრდნობა მძლავრი ინსტრუმენტია მოსამართლეებისთვის, როგორც საერთო სამართლის, ისე კონტინენტური სამართლის ქვეყნებში. მიუხედავად ამისა, CCJE აღიარებს, რომ განსხვავება საერთო და კონტინენტური სამართლის სისტემებს შორის, ტრადიციულად, განსაკუთრებით თვალსაჩინოა პრეცედენტების და, ზოგადად, პრეცედენტული სამართლის მიმართ დამოკიდებულების თვალსაზრისით.

11. საერთო სამართლის ქვეყნებში, უმაღლესი ინსტანციის სასამართლოების გამოტანილ გადაწყვეტილებებს, რომლებიც სამართლებრივი საკითხების გადაწყვეტას ემსახურებიან, მბოჭავი პრეცედენტის ძალა აქვს იდენტური დავების შემთხვევაში<sup>7</sup>. ამგვარად, პრეცედენტები პრინციპულად *de jure* სავალდებულოა და, შესაბამისად, კანონმდებლობის სათანადო წყაროდ ითვლება. *Stare decisis*<sup>8</sup> - სამართლებრივი პრინციპი, რომელიც ითვალისწინებს დავის გადაწყვეტას არსებული პრეცედენტების გათვალისწინებით, საერთო სამართლის მნიშვნელოვანი ასპექტია. კონტინენტური სამართლის ქვეყნებში მოსამართლეთა დამოუკიდებლობის გარანტია ტრადიციულად მოიაზრება *inter alia* იმ მნიშვნელობით, რომ მოსამართლეები გადაწყვეტილების მიღებისას დამოუკიდებელნი არიან. მათი ვალდებულებაა, გაითვალისწინონ (მხოლოდ) კონსტიტუციის, საერთაშორისო ხელშეკრულებების, კანონმდებლობის დებულებები და კანონის ზოგადი პრინციპები და არა მსგავს შემთხვევებში სასამართლოების მიერ მიღებული წინა გადაწყვეტილებები. აქედან გამომდინარე, ტრადიციულად, კონტინენტური სამართლის მთელ რიგ ქვეყნებში პრეცედენტული სამართალი არ არის აღიარებული კანონის სავალდებულო წყაროდ. შესაბამისად, ტრადიციულად, მნიშვნელოვანი განსხვავებებია საერთო და კონტინენტური სამართლის სისტემებს შორის იმ საკითხთან მიმართებით, შეუძლია თუ არა იმავე ინსტანციის, ან უფრო მაღალი ინსტანციის სასამართლოს პრეცედენტის დაძლევა, თუ ნებისმიერი ქვედა ინსტანციის სასამართლოს შეუძლია დადგენილი პრეცედენტიდან გადახვევა იმ პირობით, რომ გადაწყვეტილება მიუკერძოებელი უნდა იყოს.

<sup>6</sup> იქვე

<sup>7</sup> იხილეთ CCJE-ს დასკვნა No. 11(2008) სასამართლოს გადაწყვეტილებების ხარისხის თაობაზე, პარ. 45.

<sup>8</sup> *Stare decisis* ლათინურად ნიშნავს „მიღებული გადაწყვეტილების მხარდაჭერას“.

12. მიუხედავად ამისა, CCJE-მ უკვე აღნიშნა, რომ კონტინენტური სამართლის ქვეყნებში მოსამართლეები ხელმძღვანელობენ პრეცედენტული სამართლით, განსაკუთრებით, უმაღლესი ინსტანციის სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებებით, რომელთა პასუხისმგებლობაში შედის პრეცედენტული სამართლის ერთგვაროვნების უზრუნველყოფა.<sup>9</sup> CCJE-ის წევრების ანგარიშებიდან გამომდინარე, კონტინენტური სამართლის იურისდიქციის უმრავლესობაში, მიუხედავად იმისა, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოებისთვის, ფორმალურად, უმაღლესი ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილების გათვალისწინება არ არის სავალდებულო, ისინი, როგორც წესი, ითვალისწინებენ ამ გადაწყვეტილებებს და, შესაბამისად, უმაღლესი ინსტანციის, უზენაესი, ან საკასაციო სასამართლოები აცნობიერებენ თავიანთ როლს კანონის ერთგვაროვანი გამოყენების უზრუნველყოფაში.<sup>10</sup> გარდა ამისა, კონტინენტური სამართლის რიგ ქვეყნებში უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის (en banc) გადაწყვეტილებები, ან გაფართოებული შემადგენლობით პალატის გადაწყვეტილებები, სავალდებულოა ყველა სასამართლოსათვის, ან უზენაესი სასამართლოს ყველა კოლეგიისთვის (სანამ დიდი პალატა სხვა გადაწყვეტილებას მიიღებს).

13. შესაბამისად, კონტინენტური სამართლის ქვეყნებში სასამართლოს, განსაკუთრებით, უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებს, უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ვიდრე კონკრეტულ საქმეს, რომლის მიმართაც მიღებული იქნა მოცემული გადაწყვეტილება, და შესაბამისად, ისინი შეიძლება ჩაითვალოს კანონის წყაროდ. კონტინენტური სამართლის ქვეყნებში CCJE-ის წევრების მიერ წარმოდგენილი ანგარიშები შეიცავენ მითითებებს კანონის უზენაესობაზე, კანონის წინაშე თანასწორობაზე, სამართლიანობის პრინციპზე, სამართლიანი სასამართლოს უფლებაზე და უზენაესი სასამართლოს პოზიციაზე, როგორც კანონის ერთგვაროვანი გამოყენების კონცეფციის საფუძველზე. აქედან გამომდინარე, საკანონმდებლო დონეზე, კანონები, რომლებიც ეხება სასამართლოების ორგანიზებას (კერძოდ, უზენაესი სასამართლოს უფლებამოსილებებს), საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონები და უზენაესი სასამართლოების ხელმისაწვდომობის ფილტრაციის კრიტერიუმების განმსაზღვრელი კანონები, უაღრესად რელევანტურია.

14. *stare decisis* დოქტრინის მიხედვით, ერთი პრეცედენტული გადაწყვეტილებაც კი სამართლებრივად მნიშვნელოვანია. ტრადიციულად, კონტინენტური სამართლის ქვეყნებში საჭიროა არსებობდეს გარკვეულ საკითხზე მსგავსი გადაწყვეტილებების გამოტანის კონსოლიდირებული ტენდენცია (ანუ, კარგად დამკვიდრებული პრეცედენტული სამართალი, ანუ *jurisprudence constante, ständige Rechtsprechung*), რათა მიდგომა სამართლებრივად მნიშვნელოვნად ჩაითვალოს. აღნიშნული, რა თქმა უნდა, ხელს არ შეუშლის გადაწყვეტილებისათვის პრეცედენტული ღირებულების მინიჭებას, როდესაც უზენაესი

<sup>9</sup> CCJE-ს დასკვნა No. 11(2008) სასამართლოს გადაწყვეტილებების ხარისხის თაობაზე, პარ. 48.

<sup>10</sup> წინამდებარე დასკვნის მიზნებში, ტერმინი „უზენაესი სასამართლოები“ გულისხმობს უმაღლესი ინსტანციის სასამართლოებს.

სასამართლო პირველად მიიღებს გადაწყვეტილებას კანონთან დაკავშირებულ საკითხზე. მიღებული მიდგომის შესაბამისად, არ არსებობს იმის ფორმულა, თუ როგორ უნდა მოხდეს იმ მომენტის იდენტიფიცირება, როცა პრეცედენტული სამართალი კარგად დამკვიდრებულ მიდგომად ჩაითვლება. კონტინენტური სამართლის ქვეყნებში უზენაესი სასამართლოების დიდი რაოდენობა ამჟამად უფლებამოსილია, შეარჩიოს საქმეები იმ სტანდარტების დადგენის მიზნით, რომლებიც მომავალში განსახილველ საქმეებთან მიმართებით უნდა გამოიყენონ. აქედან გამომდინარე, ამ შემთხვევებში, უზენაესი სასამართლოს ერთი გადაწყვეტილება, თუ იგი პრეცედენტის შექმნის მიზნით იქნა მიღებული, შეიძლება ჩაითვალოს სამართლებრივად მნიშვნელოვან პრეცედენტად.

#### **IV. პრეცედენტული სამართლის ერთგვაროვანი გამოყენების უზრუნველყოფის საშუალებები**

##### **a. ფორმალური, ნახევრად ფორმალური და არაფორმალური მექანიზმები**

15. თანმიმდევრული პრეცედენტული სამართლის დამკვიდრებაში სასამართლოს როლთან მიმართებით არსებობს ფორმალური, ნახევრად ფორმალური და არაფორმალური მექანიზმები.

16. ფორმალური სამართალწარმოებები<sup>11</sup>, რომლებიც სააპელაციო სასამართლოში, კერძოდ კი, უზენაესი სასამართლოების, ან საკასაციო სასამართლოების დონეზე მიმდინარეობს, ყველაზე დიდ გავლენას ახდენს კანონის ერთგვაროვან ინტერპრეტაციასა და გამოყენებაზე. უზენაესი სასამართლოებში ასეთი სამართალწარმოებები შეიძლება შეეხებოდეს შემდეგ საკითხებს: (1) ინდივიდუალური მოსარჩელის სააპელაციო საჩივრის განხილვა (საბოლოო საჩივარი კანონის საკითხებზე; გადაწყვეტილების გადასინჯვა, საკასაციო საჩივარი), (2) პროკურატურის (ან მსგავსი საჯარო ორგანოს) მიერ უზენაესი სასამართლოსთვის წარდგენილი სპეციალური საჩივარი (სამოქალაქო საქმეებზე) მნიშვნელოვანი სამართლებრივი საკითხის თაობაზე, კანონის ერთგვაროვანი გამოყენების უზრუნველყოფის, ან პრეცედენტული სამართლის განვითარების მიზნით, შედეგად, უმეტეს სისტემებში მიიღება დეკლარაციული ხასიათის გადაწყვეტილება, რომელიც გავლენას არ ახდენს დავის მხარეების უფლებებზე, (3) განმარტებითი ხასიათის გადაწყვეტილებების მიღება (რომლებსაც უწოდებენ "ერთგვაროვნების შესახებ გადაწყვეტილებას"), აბსტრაქტული ფორმით და არა ინდივიდუალურად წარდგენილ საჩივართან დაკავშირებით, (4) წინასწარი განჩინება, რომელიც მიიღება განსახილველ საქმეებთან დაკავშირებით, კანონით ვიწროდ განსაზღვრულ საკითხებზე, ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მოთხოვნით.

17. ნახევრად ფორმალური მექანიზმები მოიცავს მაგ. კონკრეტული სასამართლოს მოსამართლეთა რეგულარულად დაგეგმილ შეხვედრებს, ან სხვადასხვა სასამართლოების ერთი და იმავე რანგის მოსამართლეების შეხვედრებს, ან იერარქიულად ზემდგომი სასამართლოს მოსამართლეებთან შეხვედრებს. ასეთ შეხვედრებს შეიძლება ჰქონდეს არაფორმალური ხასიათი, ან შესაძლოა შეხვედრები ინსტიტუციონალიზებული იყოს. მსგავსი ეფექტი შეიძლება ჰქონდეს "სახელმძღვანელო მითითებების" გაცემას (რაც ზოგადად ინდივიდუალური შეფასებების

<sup>11</sup> ტერმინი "სააპელაციო სასამართლოები" ასევე გულისხმობს სააპელაციო კოლეგიებს.

გაკეთების საშუალებას იძლევა), რომლებშიც ყურადღება გამახვილებულია კარგად დამკვიდრებული პრეცედენტული სამართლით დადგენილ პრინციპებზე (მაგალითად, სამოქალაქო სამართლის საქმეებზე პირადი ზიანის ანაზღაურების შკალა, სისხლის სამართლის საქმეებში სასჯელის დაკისრება, ან ადვოკატების კანონიერი ხარჯების ანაზღაურება, როდესაც ტარიფები არ არის მკაფიოდ განსაზღვრული).

18. მესამე სახის მექანიზმებს მიეკუთვნება არაფორმალური მექანიზმები, როგორცაა მოსამართლეთა შორის არაფორმალური კონსულტაციები, რომლებიც მიზნად ისახავს კონსენსუსის მიღწევას საპროცედურო და მატერიალური სამართლის ასპექტებთან დაკავშირებით, მაშინ, როდესაც პრაქტიკაში ურთიერთსაწინააღმდეგო პრეცედენტული სამართალი არსებობს. უწყვეტი იურიდიული განათლება და მოსამართლეთა ტრენინგი ძალიან მნიშვნელოვანია პრეცედენტული სამართლის გამოყენების ერთგვაროვნებისა და განჭვრეტადობისთვის.

19. ნახევრად ფორმალური და არაფორმალური მექანიზმები მიზნად ისახავს კანონის ერთგვაროვანი გამოყენების ხელშეწყობას, მაგრამ ამ კონტექსტში გამოტანილმა დასკვნებმა არ შეიძლება დაარღვიონ ინდივიდუალური მოსამართლეების დამოუკიდებლობა.

## **b. უზენაესი სასამართლოების როლი**

20. პირველ რიგში, უზენაესი სასამართლოს როლია პრეცედენტულ სამართალში არსებული წინააღმდეგობების გადაწყვეტა. უზენაესი სასამართლო უნდა უზრუნველყოფდეს პრეცედენტული სამართლის ერთგვაროვნებას, აღმოფხვრიდეს არსებულ შეუსაბამობებს და ინარჩუნებდეს საზოგადოების ნდობას სასამართლო სისტემისადმი<sup>12</sup>. არსებობს თანდაყოლილი კავშირი, ერთი მხრივ, პრეცედენტული სამართლის ერთგვაროვნებასთან დაკავშირებულ მოსაზრებებს, და მეორე მხრივ, უზენაესი სასამართლოს ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მექანიზმებს შორის.

21. CCJE აღიარებს, რომ იურიდიული ტრადიციებისა და მართლმსაჯულების ორგანიზებაში არსებული განსხვავებების გათვალისწინებით, უზენაესი სასამართლოების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით ევროპაში არსებობს განსხვავებული ვითარება. იგივე ეხება კონცეფციებს იმის შესახებ, თუ ძირითადად, რას უნდა ემსახუროდნენ უზენაესი სასამართლოები, კერძო ფუნქციას, თუ საზოგადოებრივ ფუნქციას. პირველი გულისხმობს თითოეული ინდივიდუალური საქმის სამართლიან და სწორად გადაწყვეტას მხარეების ინტერესების გათვალისწინებით. უკანასკნელი დაკავშირებულია საზოგადოებრივი ინტერესების დაცვასთან და პრეცედენტული სამართლის ერთგვაროვნების უზრუნველყოფასთან, ასევე კანონის შემუშავებისა და დახვეწის მიმართულებით მუშაობასთან. რადგან ეს საკითხი სცდება მოცემული მოსაზრების ფარგლებს, CCJE არ ისახავს მიზნად რეკომენდაციების გაცემას იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა იმართებოდეს უზენაესი სასამართლოები და როგორ უნდა

<sup>12</sup> ECtHR, *Albu and others v. Romania*, 34796/09, 2012 წლის 12 მაისი

იყოს უზრუნველყოფილი მათი ხელმისაწვდომობა<sup>13</sup>. მიუხედავად ამისა, უზენაესი სასამართლოს პასუხისმგებლობაში შედის ერთგვაროვანი პრეცედენტული სამართლის დამკვიდრების უზრუნველყოფა, რაც მოითხოვს უზენაესი სასამართლოს მიერ განსახილველი საქმეების ადეკვატური შერჩევის კრიტერიუმების შემუშავებას. იმ ქვეყნებმა, რომლებშიც მიღებულია გასაჩივრების შეუზღუდავი უფლება, შეიძლება გაითვალისწინონ შესაბამისი ფილტრაციის მექანიზმების დანერგვის, ან გასაჩივრების ნებართვის მექანიზმის დანერგვის მიზანშეწონილობა. გასაჩივრების უფლების მინიჭების კრიტერიუმი ხელს შეუწყობს უზენაესი სასამართლოს მიერ მასზე დაკისრებული როლის ეფექტიან შესრულებას კანონის ერთგვაროვანი ინტერპრეტაციის კონტექსტში. ამასთან დაკავშირებით, CCJE მიუთითებს თავის დასკვნებზე, რომლებიც ასახულია რეკომენდაციაში №R (95) 5<sup>14</sup>.

22. გასაჩივრების უფლების მინიჭების ასეთი კრიტერიუმების დანერგვა, კერძოდ, გულისხმობს, რომ უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების მნიშვნელობა სცდება ინდივიდუალური საქმის ფარგლებს. შესაბამისად, ასეთი გადაწყვეტილება გასათვალისწინებელია მომავალი საქმეების განხილვისას და შესაბამისად, ღირებული სახელმძღვანელო მითითებაა ქვემდგომი ინსტანციების სასამართლოებისთვის, ისევე როგორც ყველა მომავალი დავების მხარეებისა და მათი ადვოკატებისთვის. მხოლოდ ამგვარი შერჩევის კრიტერიუმების არსებობა უზრუნველყოფს, რომ უზენაესი სასამართლო პრეცედენტის ღირებულების მქონე საქმეებს განიხილავს. ამავე დროს, ეს არის ერთადერთი კრიტერიუმი, რომელიც უზრუნველყოფს, რომ ყველა ასეთი საქმე უზენაესი სასამართლოს განხილვის საგანი გახდება. ზემოხსენებულიდან გამომდინარე, უზენაეს სასამართლოს შეუძლია ეფექტურად დაადგინოს ის წესები, რომლებიც მომავალში იქნება გათვალისწინებული სამართლის ყველა სფეროში პრეცედენტული მნიშვნელობის საქმეების გამოსავლენად. შერჩევის სხვა კრიტერიუმები, როგორცაა საჩივრის ღირებულება სამოქალაქო საქმეების შემთხვევაში, ან სასჯელის სიმძიმე სისხლის სამართლის საქმეების შემთხვევაში, ამ მიზნებს არ ემსახურება.

23. CCJE მიიჩნევს, რომ უმაღლესი ინსტანციის სასამართლოების პასუხისმგებლობა, უზრუნველყოს პრეცედენტული სამართლის ერთგვაროვნება, არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს უზენაესი სასამართლო რაც შეიძლება ხშირად უნდა ჩაერიოს სამართალწარმოებაში. ასეთი მიდგომა გამოიწვევდა უზენაესი სასამართლოს მიერ საქმეების განხილვის გაჭიანურებას და მის

---

<sup>13</sup> CCJE-ს დასკვნა No. 11 (2008) სასამართლოს გადაწყვეტილებების ხარისხის თაობაზე.

<sup>14</sup> იხილეთ მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია №R (95) 5 წევრი სახელმწიფოებისადმი სამოქალაქო და კომერციულ საქმეებში გასაჩივრების სისტემებისა და პროცედურების შემოღებისა და გაუმჯობესების შესახებ (7-ე მუხლის "გ" ქვეპუნქტი): "მესამე ინსტანციის სასამართლოებში აპელაციის წარდგენა იმ შემთხვევებში უნდა მოხდეს, როდესაც საქმეები იმსახურებენ მესამე დონის სასამართლოს მიერ გადასინჯვას, მაგალითად, ისეთ შემთხვევებში, რაც კანონის დახვეწას, ან ერთგვაროვან გამოყენებას შეუწყობს ხელს. ეს საქმეები ასევე შეიძლება შემოიფარგლონ იმ საჩივრებით, როდესაც საქმე ეხება საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე კანონთან დაკავშირებულ ასპექტებს. მომჩივანი ვალდებული უნდა იყოს დაასახელოს მიზეზები, რომელთა გამო ეს საქმე ხელს შეუწყობდა ამ მიზნების მიღწევას".

გადაწყვეტილებათა ხარისხის გაუარესებას. ამასთან, ასეთი მიდგომა აუცილებლად შექმნიდა წინააღმდეგობებს თავად უზენაესი სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში. მსგავსი მიდგომის შემთხვევაში გარდაუვალი იქნება უზენაესი სასამართლოს მიერ განსახილველი საქმეების რაოდენობის მკვეთრი ზრდა, ხოლო მისი პრეცედენტული გადაწყვეტილებები, ხშირ შემთხვევაში, შეუმჩნეველი ან გაუთვალისწინებელი დარჩება. ამდენად, ქვედა ინსტანციის სასამართლოებში წინააღმდეგობრივ გადაწყვეტილებათა გამოსწორება არ შეიძლება მარტივად იმის იმედად დარჩეს, რომ უზენაესი სასამართლო შეუზღუდავად მისაწვდომია.

24. უზენაესი სასამართლოებისათვის განსაკუთრებით აქტუალურია იმავე სასამართლოში ისეთი ინსტრუმენტების არსებობა, რომლებიც ერთგვაროვნებას უზრუნველყოფს. განსაკუთრებით პრობლემურია, თუ თავად უზენაესი სასამართლო გახდება გაურკვევლობისა და ურთიერთსაწინააღმდეგო პრეცედენტული სამართლის წყარო. ამდენად, უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ უზენაესი სასამართლოს ფარგლებში არსებობდეს მექანიზმები, რომელთა გამოყენებითაც შესაძლებელი იქნება ამ სასამართლოს ფარგლებში არსებული შეუსაბამობების აღმოფხვრა. ასეთი ინსტრუმენტები შეიძლება მოიცავდეს, მაგალითად, საქმეების გადაცემას დიდი პალატებისთვის, ან უფრო ფართო კოლეგიების მოწვევას იმ შემთხვევებში, როდესაც უზენაესი სასამართლოს პრეცედენტული სამართალი წინააღმდეგობრივია, ან როდესაც განიხილება არსებული პრეცედენტიდან გადახვევის საჭიროება. ასეთ შემთხვევებში შესაძლებელი უნდა იყოს, როგორც მინიმუმ, "მოსაზრებების გაცვლა" იმ პალატასთან, რომლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებიდანაც აპირებს გადახვევას სხვა პალატა. როგორც მე-19 პუნქტში აღინიშნა, მოცემული მიზნებისთვის უაღრესად ღირებულია ასევე არაფორმალური მექანიზმების არსებობა.

25. CCJE-ს მიაჩნია, რომ სააპელაციო ინსტანციის დონეზე განსხვავებული პრეცედენტული სამართალის არსებობის პრობლემა (იმავე სააპელაციო სასამართლოს ფარგლებში, ან სხვადასხვა სააპელაციო სასამართლოს ფარგლებში) შეიძლება გადაიჭრას უზენაესი სასამართლოს დონეზე, კანონის საკითხებზე შემდგომი გასაჩივრებით.

### **c. სააპელაციო სასამართლოების როლი**

26. უნდა აღინიშნოს, რომ თუ უზენაესი სასამართლოების ხელმისაწვდომობის საკითხი იმგვარად არის დარეგულირებული, რომ მათ, საქმეების განხილვის ნაცვლად, გამონაკლისების განხილვის ვალდებულება გააჩნიათ, მაშინ, უმეტეს შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოები ასრულებენ უმაღლესი ინსტანციის ფუნქციას. შესაბამისად, მათ უფლებამოსილებაში უნდა შედიოდეს მართლმსაჯულების ხარისხის უზრუნველყოფა, რაც ასევე მოიცავს კანონის ერთგვაროვანი გამოყენების ხელშეწყობას. პრეცედენტული სამართლის თანმიმდევრულობის მიღწევას შეიძლება დრო დასჭირდეს და ეს მისაღებია, თუ დაცულია სამართლებრივი ერთგვაროვნების პრინციპი<sup>15</sup>. შესაბამისად, CCJE-ს აზრით, უზენაესი სასამართლოს არ შეიძლება

<sup>15</sup> ECtHR, *Albu and others v. Romania*, 34796/09, 2012 წლის 12 მაისი.



ავტომატურად დაეკისროს სააპელაციო სასამართლოს მიერ განსხვავებული გადაწყვეტილებების მიღების შემთხვევაში დაუყოვნებლივ ჩარევის ვალდებულება. ხშირ შემთხვევაში მოსალოდნელია, რომ სააპელაციო სასამართლოები გარკვეული პერიოდის შემდეგ მიაღწევენ კანონების ერთგვაროვან გამოყენებას, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოებს მნიშვნელოვანი როლი ეკისრებათ კანონების ერთგვაროვანი გამოყენების ხელშეწყობაში.

#### **d. სპეციალიზებული სასამართლოები**

27. ქვედა დონეზე სპეციალიზებული სასამართლოების არსებობას არ აქვს მნიშვნელოვანი უარყოფითი ეფექტი პრეცედენტული სამართლის ერთგვაროვნებაზე, თუ სასამართლო სისტემის სტრუქტურის უმაღლეს დონეზე არსებობს ზოგადი იურისდიქციის მქონე ერთი უზენაესი სასამართლო. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს არაერთი "უზენაესი სასამართლო", ან საბოლოო ინსტანციის იურისდიქციის მქონე სასამართლო და ისინი მსგავს სამართლებრივ საკითხებს განიხილავენ, შეიძლება წარმოიშვას პრობლემები კანონის ერთგვაროვან გამოყენებასთან დაკავშირებით. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად, ამ დამოუკიდებელ და ერთმანეთთან დაუკავშირებელ უმაღლეს სასამართლოებს შორის განსხვავებული მიდგომების აღმოსაფხვრელად, აუცილებელია შიდა კანონმდებლობით გათვალისწინებული ფორმალური, ან არაფორმალური მექანიზმების არსებობა, რომლებიც კონსოლიდაციის ფუნქციას შესრულებენ.<sup>16</sup>

#### **e. მბოჭავი განმარტებითი დებულებები *in abstracto***

28. CCJE-ს აზრით, უზენაესი სასამართლოს საჯარო როლი, რომელიც მოიცავს *pro futuro* სახელმძღვანელო მითითებების გაცემას პრეცედენტული სამართლის ერთგვაროვნებისა და სამართლის განვითარების უზრუნველყოფის მიზნით, შეიძლება შესრულდეს საჩივრების სათანადო ფილტრაციის სისტემის დანერგვით. ეს უფრო მიზანშეწონილია, ვიდრე *in abstracto* მბოჭავი განმარტებითი დებულებების ან ზოგადი მოსაზრებების შემუშავება, რომლებიც უზენაესი სასამართლოს პლენარულ სხდომებზე მიიღება. რამდენიმე ქვეყანაში (ჯერ კიდევ) არსებობს ამგვარი ინსტრუმენტები<sup>17</sup>, რომლებიც (განსხვავებით წინასწარი განჩინებების ინსტრუმენტისაგან) მიიღება ისე, რომ რეალურად განსახილველი საქმე არ არსებობს, არც საქმის მხარეები არსებობენ და არც მათი ადვოკატები, რომლებიც თავიანთი პოზიციების დასაცავად იმსჯელებენ. აღიარებს რა, რომ ასეთმა ინსტრუმენტებმა შეიძლება დადებითი გავლენა იქონიონ პრეცედენტული სამართლის ერთგვაროვნებასა და სამართლის სიცხადეზე, CCJE მიიჩნევს, რომ ისინი შეიძლება პრობლემური აღმოჩნდნენ ხელისუფლების უფლებამოსილების განაწილებაში სასამართლო სისტემის როლის კუთხით.

<sup>16</sup> ECtHR, Sahin and Sahin v Turkey, 13279/05, 2011 წლის 20 ოქტომბერი.

<sup>17</sup> მე-16 პუნქტის მე-3 ქვეპუნქტში მოხსენიებული ინსტრუმენტები განსხვავდება ამავე პუნქტის მე-2 ქვეპუნქტში დასახელებული მექანიზმებისაგან. პირველს მბოჭავი ძალა აქვს და მიღებულია კონკრეტულ განსახილველ საქმესთან კავშირის გარეშე, ხოლო მეორესთან მიმართებით არაფერია საწინააღმდეგო.

## **f. წინასწარი განჩინებები**

29. ზოგიერთ ქვეყანაში არსებობს შესაძლებლობა, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა მიმართონ უზენაეს სასამართლოს კანონის ინტერპრეტაციისათვის განსახილველ საქმესთან კავშირში. ამან შეიძლება წვლილი შეიტანოს კანონის ერთგვაროვან გამოყენებაში და მომავალში თავიდან აგვაცილოს პრეცედენტული სამართლიდან გადახვევა. მეორე მხრივ, ასეთი წინასწარი განჩინებები შეიძლება შეიცავდნენ ნაადრევ და ავტორიტეტულ პასუხს კითხვაზე, რამაც, გარკვეულწილად, შეიძლება ხელი შეუშალოს სამართლის თანმიმდევრულ განვითარებას.

## **V. პრეცედენტული სამართლიდან გადახვევა**

### **a. სიხისტისა და წინააღმდეგობების არიდება სამართლის განვითარების მიზნით**

30. CCJE-ს აზრით, კანონის თანასწორობა, ერთგვაროვანი ინტერპრეტაცია თუ გამოყენება არ უნდა აზრკოლებდეს სამართლის განვითარებას. ამიტომ მოთხოვნა რომ "მსგავსი შემთხვევები მსგავსად უნდა განიხილებოდეს" არ უნდა იყოს აღქმული როგორც აბსოლუტური. პრეცედენტული სამართლის განვითარება თავისთავად არ ეწინააღმდეგება მართლმსაჯულების სათანადო აღსრულებას, რადგან შეუძლებელი იქნება პრეცედენტული სამართლის დახვეწა ან გაუმჯობესება, მისი განვითარებისა და ადაპტირების გარეშე<sup>18</sup>. ცვლილებებმა საზოგადოებაში შეიძლება გამოიწვიოს კანონის ახალი ინტერპრეტაციის აუცილებლობა და აღნიშნულის გამო საჭირო გახდეს პრეცედენტიდან გადახვევა. მეტიც, სახელმწიფოთაშორისო სასამართლოების და სახელშეკრულებო ორგანოების გადაწყვეტილებები (მაგალითად, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს ან ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს) ხშირად იწვევს ეროვნული კანონმდებლობის შეცვლის აუცილებლობას.

31. პრეცედენტული სამართლიდან გადახვევის კიდევ ერთი მიზეზი შეიძლება იყოს კანონის არსებული ინტერპრეტაციის გაუმჯობესების საჭიროება, თუმცა აღსანიშნავია, რომ ეს უნდა მოხდეს გადაუდებელი საჭიროების შემთხვევაში. CCJE-ს აზრით, სამართლებრივი სიცხადისა და განჭვრეტადობის მოსაზრებები უნდა ამყარებდნენ იმ პრეზუმფციას, რომ ხელახლა არ განიხილება სამართლებრივი საკითხი, რომელთან დაკავშირებითაც არსებობდა კარგად დამკვიდრებული პრეცედენტული სამართალი. ამგვარად, რაც მეტი პრეცედენტული გადაწყვეტილებით არის გამყარებული ერთგვაროვანი მიდგომა კონკრეტული საკითხისადმი, მით მეტი ტვირთია მოსამართლეზე, წარმოადგინოს რეალურად დამარწმუნებელი მიზეზები პრეცედენტიდან გადახვევის გასამართლებლად.

### **b. დამკვიდრებული პრეცედენტული სამართლიდან გადახვევის განმაპირობებელი მიზეზების მკაფიოდ გაცხადების მოთხოვნა**

32. CCJE-ს მიერ უკვე მიღებული მოსაზრების შესაბამისად, მოსამართლეებმა თანმიმდევრულად და ერთგვაროვნად უნდა გამოიყენონ კანონი, მაგრამ როდესაც სასამართლო გადაწყვეტს

<sup>18</sup> ECtHR, Sahin and Sahin v Turkey, 13279/05, 2011 წლის 20 ოქტომბერი, პარ. 58.

არსებული პრეცედენტული სამართლიდან გადახვევას, უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ გადაწყვეტილებაში მკაფიოდ მიუთითოს აღნიშნულის შესახებ<sup>19</sup>. დასაბუთებიდან ნათლად უნდა იკვეთებოდეს, რომ მოსამართლემ იცოდა, როგორ ადგენს დამკვიდრებული პრეცედენტული სამართლისგან განსხვავებულ მიდგომას მოცემულ საკითხთან დაკავშირებით; ასევე, საფუძვლიანად განიმარტოს, თუ რატომ ვერ დარჩება ძალაში კონკრეტულ საკითხზე მანამდე არსებული მიდგომა. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში არის შესაძლებელი იმის დადგენა, რამდენად გააზრებულად არჩია მოსამართლემ პრეცედენტიდან გადახვევა (ანუ, რამდენად მიზანდასახულად გადაუხვია მოსამართლემ პრეცედენტული სამართლიდან, რათა გადასინჯულიყო საბოლოოდ დამკვიდრებული მიდგომა), თუ სასამართლომ არ გაითვალისწინა არსებული პრეცედენტი, ან უბრალოდ არ იყო ინფორმირებული მის შესახებ. გარდა ამისა, მხოლოდ ასეთი გზითაა შესაძლებელი სამართლის ნამდვილი განვითარების მიღწევა. ამ მოთხოვნების შეუსრულებლობა შეიძლება მივიჩნიოთ მიკერძოებულ დამოკიდებულებად, და სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების დარღვევად<sup>20</sup>.

### **c. მოსამართლეთა დამოუკიდებლობის და პრეცედენტული სამართლის სავალდებულო ძალის პრინციპი**

33. *stare decisis*-ის დოქტრინის შესაბამისად, მხოლოდ მაღალი ინსტანციის სასამართლოებს და, გარკვეულ ვითარებებში, იმავე დონის სასამართლოებს შეუძლიათ არსებული პრეცედენტიდან გადახვევა, ხოლო ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებისთვის ზემდგომი ინსტანციის დადგენილი პრეცედენტები სავალდებულო ძალისაა. შესაბამისად, ეს უკანასკნელი არ არის შეუსაბამო მოსამართლის დამოუკიდებლობის მოთხოვნასთან<sup>21</sup>.

34. განსხვავებით ზემოხსენებულისგან, კონტინენტური სამართლის ქვეყნებში მოსამართლის დამოუკიდებლობის (საკონსტიტუციო) გარანტიად მოიაზრება *inter alia* ის, რომ მოსამართლეები, გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ვალდებულნი არიან დაიცვან მხოლოდ კონსტიტუციის, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და სამართლებრივი დოკუმენტების მოთხოვნები და არა მსგავს საქმეებზე იერარქიულად ზემდგომი სასამართლოების გადაწყვეტილებები. ამგვარად, აღიარებულია, რომ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოები უფლებამოსილნი არიან, გადაუხვიონ ზემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიღებულ გადაწყვეტილებებს. CCJE ეთანხმება, რომ სხვადასხვა სამართლებრივი ტრადიციის გამო, შეიძლება განსხვავებული მოსაზრებები არსებობდეს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოების დადგენილ პრეცედენტებსა და ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მოსამართლეების დამოუკიდებლობას შორის არსებულ ურთიერთმიმართებაზე და რომ ეს განსხვავებული მიდგომები შეიძლება მომავალშიც თანაარსებობდნენ.

<sup>19</sup> იხილეთ CCJE-ს დასკვნა No. 11(2008) სასამართლოს გადაწყვეტილებების ხარისხის თაობაზე, პარ.49.

<sup>20</sup> იხილეთ *Brezovic v. Croatia*, ECtHR.

<sup>21</sup> საერთო სამართლის ქვეყნებში ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ დადგენილი პრეცედენტები არ არის სავალდებულო ზემდგომი ინსტანციის სასამართლოებისთვის.

35. მიუხედავად ამისა, პირველ რიგში, უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ ზემდგომი ინსტანციის დონეზე დადგენილი პრეცედენტიდან ქვემდგომი ინსტანციის მიერ გადახვევის შემთხვევაში, სრულად ვრცელდება ზემოაღნიშნული „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილი დასაბუთების მოთხოვნა. მეორე, როდესაც ქვემდგომი ინსტანციის სასამართლო გადაუხვევს ზემდგომი ინსტანციის დონეზე დადგენილ პრეცედენტს, ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს უნდა შეეძლოს ასეთი გადახვევის გასაჩივრების შესაძლებლობა. სწორედ ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს ეკუთვნის საბოლოო სიტყვა ასეთ სადავო საკითხებში და მას საშუალება უნდა ჰქონდეს, დაიცვას მის მიერ დადგენილი პრეცედენტის მართებულობა, ან დაეთანხმოს ქვედა ინსტანციის სასამართლოს, პრეცედენტის გადასინჯვის აუცილებლობასთან დაკავშირებით.

36. თუ მხარეები არსებულ პრეცედენტულ სამართალს ეყრდნობიან, CCJE-ს აზრით, სასამართლო, რომელიც პრეცედენტიდან გადახვევას გეგმავს, მაქსიმალურად უნდა ეცადოს, რომ მხარეები არ აღმოჩნდნენ მათთვის გაურკვეველ ვითარებაში. სასამართლომ საშუალება უნდა მისცეს მხარეებს გაიაზრონ, რომ ასეთი ცვლილება საჭიროა და მისცეს დრო მომზადებისა და არგუმენტების გადასინჯვისთვის. გამონაკლის გარემოებებში, გადაწყვეტილების უარყოფა შეიძლება მისაღები ინსტრუმენტი იყოს, იმ მხარეების ინტერესების ზედმეტად დაზარალების თავიდან ასაცილებლად, რომლებიც მანამდე არსებულ პრეცედენტულ გადაწყვეტილებებს ეყრდნობოდნენ.

#### **d. საქმეების ერთმანეთისგან განსხვავება**

37. საქმეზე გადაწყვეტილების მიღება გულისხმობს საქმის ყველა გარემოების შეფასებას. ამ თვალსაზრისით, ერთგვაროვნებას გარკვეული ზღვარი გააჩნია. პრეცედენტული სამართლის რელევანტურობა იმას ნიშნავს, რომ არსებითად მსგავსი გარემოებები დადგა მანამდე განხილულ საქმეშიც. პრეცედენტულ სამართალზე დაყრდნობისას, საჭიროა სათანადოდ შეფასდეს იმ საქმის კონტექსტი და გარემოებები, რომელთან დაკავშირებითაც სასამართლომ პრეცედენტული გადაწყვეტილება გამოიტანა.

38. სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს შესაბამისი პრეცედენტული სამართლის ანალიზს და საქმეების ერთმანეთისგან განსხვავების შესაბამისი ტექნიკის შემუშავებას. ეს მნიშვნელოვანია, რადგან შესაძლოა საქმე შეირჩეს იმ საქმეების კატეგორიიდან, რომელზეც მანამდე მიღებული გადაწყვეტილება ვრცელდებოდა, მაგრამ უფრო საფუძვლიანი და კრიტიკული ანალიზის შედეგად, შეიძლება გამოვლინდეს, რომ მანამდე მიღებული გადაწყვეტილება, სინამდვილეში, არ არის რელევანტური პრეცედენტი. ორი სხვადასხვა დავის განსხვავებული სახით განხილვა არ ნიშნავს წინააღმდეგობას პრეცედენტულ სამართალთან, თუ ეს განპირობებულია დასაბუთებული სხვაობით ფაქტობრივ გარემოებებში.

#### **e. შედეგები იმ მოსამართლეებისთვის, რომლებმაც არ მისდიეს დამკვიდრებულ პრეცედენტულ სამართალს**

39. სამართლის, მათ შორის პრეცედენტული სამართლის, ცოდნა მოსამართლის კომპეტენტურობის მნიშვნელოვანი ასპექტია. მიუხედავად ამისა, მოსამართლეს არ უნდა შეეზღუდოს შესაძლებლობა, ცვლილება შეიტანოს პრეცედენტულ სამართალში, თუ იგი მოქმედებს კეთილსინდისიერად და მიზანდასახულად, ხოლო დადგენილი პრეცედენტიდან გადახვევას საფუძვლიანად დაასაბუთებს მიზეზების დასახელებით. პრეცედენტული სამართლიდან ასეთი გადახვევა არ შეიძლება იწვევდეს დისციპლინურ სანქციას ან გავლენა მოახდინოს მოსამართლის შეფასებაზე, არამედ უნდა მოიაზრებოდეს როგორც სასამართლოს დამოუკიდებლობის ელემენტი.

## **VI. პრეცედენტული გადაწყვეტილებების გამოქვეყნება და ანგარიშგება**

40. კანონის ერთგვაროვანი გამოყენებისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს პრეცედენტულ გადაწყვეტილებათა ანგარიშგების სათანადო სისტემის არსებობას. სულ მცირე, უზენაესი და სააპელაციო სასამართლოების გადაწყვეტილებები მაინც უნდა გამოქვეყნდეს, რათა ისინი ცნობილი გახდეს არა მხოლოდ კონკრეტული საქმის მხარეებისთვის, არამედ ასევე სასამართლოებისთვის, ადვოკატებისთვის, პროკურორებისთვის, აკადემიური წრეების წარმომადგენლებისა და საზოგადოებისთვის, რათა შემდგომი საქმეების განხილვისას დაეყრდნონ ამგვარ გადაწყვეტილებებს<sup>22</sup>.

41. შეიძლება არსებობდეს ოფიციალური, ნახევრად-ოფიციალური და კერძო ანგარიშები, ტრადიციულ წერილობით ან ელექტრონულ ფორმატში, საჯარო ან კერძო მონაცემთა ბაზების სახით. მოსამართლეებს უფასო წვდომა უნდა ჰქონდეთ იმ მონაცემთა ბაზებზე, სადაც უზენაესი და სააპელაციო სასამართლოების პრეცედენტული გადაწყვეტილებებია განთავსებული. მათ უნდა ჩაუტარდეთ შესაბამისი ტრენინგები მონაცემთა ბაზებით სარგებლობის შესახებ.

42. CCJE აცნობიერებს, რომ სხვადასხვა სამართლებრივი ტრადიცია განსხვავებულ ზეგავლენას ახდენს მოსამართლეთა გადაწყვეტილებებზე, ასევე განსხვავებულ პოზიციებზე იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი გადაწყვეტილებები უნდა გამოქვეყნდეს და რა ფორმით. მიუხედავად ამისა, CCJE-ს სურს ხაზგასმით აღნიშნოს, რომ გასათვალისწინებელია საქმის ფაქტობრივი გარემოებები და კონტექსტი, რათა მიღებული გადაწყვეტილება არ გავრცელდეს ისეთ საქმეებზე, სადაც საკმარისად მსგავსი გარემოებები არ დადგა. CCJE მიესალმება გადაწყვეტილებათა მოკლე მიმოხილვის გამოქვეყნებას, საქმის ფაქტობრივ გარემოებათა აღნიშვნით, რათა პრეცედენტების ძებნა უფრო ადვილი გახდეს.

43. უზენაესი ან სააპელაციო სასამართლოების დიდი რაოდენობით პრეცედენტულ გადაწყვეტილებათა შემთხვევაში, მათი უბრალოდ გამოქვეყნება არ აძლევს საშუალებას მოსამართლეებს, ადვოკატებს და აკადემიური წრეების წარმომადგენლებს, სათანადოდ ადევნონ თვალყური პრეცედენტებს. ასეთ ვითარებაში CCJE-ს მიზანშეწონილად მიაჩნია მნიშვნელოვანი სტანდარტების დამდგენ გადაწყვეტილებათა შერჩევის ქმედითი სისტემის დანერგვა და მათი

---

<sup>22</sup> იხილეთ CCJE-ს დასკვნა No. 14(2011) მართლმსაჯულებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების შესახებ.

შესაფერისი ფორმით გამოქვეყნება (მაგალითად, „საკვანძო გადაწყვეტილებების კრებული“), რათა მაქსიმალურად გამოიყენონ ასეთი გადაწყვეტილებები.

## **VII. სხვა მნიშვნელოვანი ასპექტები**

### **a. ხელისუფლების სამივე შტოს პასუხისმგებლობა**

44. კანონის ერთგვაროვანი გამოყენების კონცეფცია სავალდებულოა ხელისუფლების ყველა შტოსთვის: საკანონმდებლო, აღმასრულებელი თუ სასამართლო ხელისუფლებისთვის. ამ თვალსაზრისითაც, სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოები ურთიერთდაკავშირებულნი და ურთიერთდამოკიდებულნი არიან, რადგან მათ ევალებათ თანმიმდევრული რეგულაციების ჩამოყალიბება და მათი თანმიმდევრული დაცვა. კანონმდებლობა უნდა იყოს მაქსიმალურად ნათელი, განჭვრეტადი და თანმიმდევრული. კანონმდებლობის ცვლილებისას კანონმდებელმა სათანადო ყურადღება უნდა მიაპყროს პრეცედენტულ გადაწყვეტილებებს, რომლებიც არსებობს იმ სფეროში, სადაც ცვლილება იგეგმება. სასამართლოები უკეთ შეძლებენ კანონმდებლობის ერთგვაროვან გამოყენებას, თუ იგი ჩამოყალიბებულია ლოგიკურად, შემუშავებულია კარგად, ფორმულირებულია მკაფიოდ, დაცლილია არასაჭირო ორაზროვნებისაგან და არ შეიცავს ურთიერთსაწინააღმდეგო დებულებებს.

45. CCJE აღიარებს, რომ საკანონმდებლო რეფორმები გარდაუვალია მკაცრად რეგულირებულ თანამედროვე საზოგადოებაში, ამავდროულად აფრთხილებს მხარეებს, რომ ზოგჯერ არათანმიმდევრული და სწრაფი საკანონმდებლო ცვლილებები უარყოფით ზეგავლენას ახდენენ კანონების ხარისხსა და სამართლებრივ სიცხადეზე. ცვლილებების ფრაგმენტარული ხასიათი და კანონების სირთულე (გამოწვეული ცვლილებებით) უარყოფითად აისახება სამართლებრივი სიცხადის პრინციპზე.

46. პრეცედენტულ სამართალში არსებული წინააღმდეგობები, ზოგჯერ, კანონებში არსებული ორაზროვნების შედეგია, რის გამოც სასამართლოები ვერ იღებენ ერთგვაროვან და ყველასათვის მისაღებ ინტერპრეტაციას. ასეთ გარემოებებში CCJE-ს მიაჩნია, რომ კანონებში ცვლილებების შეტანა საკანონმდებლო ხელისუფლების პასუხისმგებლობას წარმოადგენს. კაზუსტიკა და დეტალური რეგულირება არ არის საბოლოო მიზანი. ფართო დეფინიციები და ღია ნორმები ხშირად შეუცვლელია, რადგანაც ისინი საშუალებას აძლევენ სასამართლოებს, შეინარჩუნონ მოქნილობა, ამავდროულად ისინი სასარგებლონი არიან იმ შემთხვევებში, როდესაც საჭიროა კანონმდებლობის ხარვეზების შევსება. ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ კანონი უნდა უპასუხებდეს სწრაფად ცვლად გარემოს. სამართლის სიცხადე უაღრესად მნიშვნელოვანია, თუმცა მან, ამავდროულად, შეიძლება გამოიწვიოს ზედმეტი სიხისტე<sup>23</sup>.

### **b. ადვოკატებისა და პროკურორების როლი**

---

<sup>23</sup> ECtHR, Borisenko and Yerevanyan Bazalt Ltd. v. Armenia, 18297/08, 2009 წლის 14 აპრილი.

47. ადვოკატებისა და პროკურორების როლი კანონის ერთგვაროვანი გამოყენების უზრუნველყოფაში უაღრესად მნიშვნელოვანია. ადვოკატებმა და პროკურორებმა სათანადო ძალისხმევა უნდა მიმართონ მხარეებისთვის მართლმსაჯულების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფისთვის. მათ სათანადოდ უნდა შეისწავლონ პრეცედენტული სამართალი და წარმოადგინონ არგუმენტები იმის დასტურად, რომ წინა გადაწყვეტილების გამოყენება მოცემულ საქმეში რელევანტურია, ან პირიქით, არ არის მიზანშეწონილი.

### **c. საერთაშორისო და სახელმწიფოთაშორისო სამართლის ერთგვაროვანი გამოყენების უზრუნველყოფა**

48. საერთაშორისო სამართალი ქმნის გამოწვევებს სხვადასხვა ქვეყანაში მისი ერთგვაროვნად გამოყენების თვალსაზრისით. საერთაშორისო ხელშეკრულებებთან მიმართებით უნდა ითქვას, რომ სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს ხელშემკვრელ სახელმწიფოებში მათ ერთგვაროვან გამოყენებას. თავიდან უნდა ავიცილოთ წინააღმდეგობები საერთაშორისო სამართალსა და ეროვნულ კანონმდებლობას შორის. აღნიშნული მიზანი უნდა შესრულდეს იმისგან დამოუკიდებლად, თუ როგორი სისტემაა სახელმწიფოში: „დუალისტური“ (რაც გულისხმობს, რომ საერთაშორისო სამართლის გავრცელება პირდაპირ არ ხდება, და იგი ეროვნულ კანონმდებლობაში უნდა იქნას ასახული), თუ „მონისტური“ (რაც გულისხმობს, რომ საერთაშორისო სამართალი არ უნდა აისახოს ეროვნულ კანონმდებლობაში და საერთაშორისო შეთანხმების რატიფიცირების შემდეგ სასამართლოებს მისი პირდაპირი გამოყენება უნდა შეეძლოს. ეს ასევე მოიცავს სამართლებრივი წესების ურთიერთმიმართებას სხვადასხვა დონეზე, რათა უზრუნველყოფილი იყოს რამდენიმე არსებული სისტემის, ან ნაწილობრივ ინტეგრირებული სისტემების ერთი მთლიანობის სახით ფუნქციონირება<sup>24</sup>.

## **VIII. ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები**

a. დამოუკიდებლად იმისა, მიჩნეულია თუ არა პრეცედენტული სამართალი კანონის წყაროდ და სავალდებულოა თუ არა იგი გასათვალისწინებლად, წინა გადაწყვეტილებებზე მითითება მძლავრი ინსტრუმენტია მოსამართლეებისთვის, როგორც საერთო სამართლის, ასევე კონტინენტური სამართლის ქვეყნებში.

b. სახელმწიფოში, სადაც დამკვიდრებულია კანონის უზენაესობა, კანონის თანაბარი და ერთგვაროვანი გამოყენება უზრუნველყოფს მის საზოგადო ხასიათს, მის წინაშე თანასწორობას და სამართლებრივ სიცხადეს. მეორე მხრივ, კანონის ერთგვაროვანი გამოყენება უზრუნველყოფს საზოგადოების ნდობას მართლმსაჯულების სამართლიანობისა და მისი ეფექტიანი აღსრულებისადმი.

c. სასამართლოების, კერძოდ, უმაღლესი ინსტანციის სასამართლოების მიერ მიღებული განსხვავებული გადაწყვეტილება შეიძლება წარმოადგენდეს ევროპული კონვენციის მე-6

---

<sup>24</sup> ამ საკითხთან დაკავშირებით CCJE მიუთითებს თავის დასკვნაზე No. 9(2006) ეროვნული მოსამართლეების როლზე საერთაშორისო და ევროპული სამართლის ქმედით გამოყენებაში.

მუხლის 1-ლი პუნქტით დადგენილი სამართლიანი სასამართლო განხილვის მოთხოვნის დარღვევას.

d. კანონის ერთგვაროვანი გამოყენების უზრუნველყოფამ არ უნდა გამოიწვიოს მისი ხისტი გამოყენება და სამართლის სწორად განვითარების არაჯეროვანი შეზღუდვა, მან ასევე არ უნდა დააყენოს ეჭვქვეშ მოსამართლეთა დამოუკიდებლობის პრინციპი.

e. უზენაესი სასამართლოს უმთავრეს როლს წარმოადგენს პრეცედენტულ სამართალში არსებული წინააღმდეგობების გადაწყვეტა და პრეცედენტული სამართლის ერთგვაროვნების უზრუნველყოფა, არსებული შეუსაბამობების აღმოფხვრა და პრეცედენტული სამართლის განვითარება.

f. პრეცედენტული სამართლის ერთგვაროვნად და თანმიმდევრულად გამოყენებისათვის, შესაფერისი იქნება, თუ უზენაეს სასამართლოს ექნება გასაჩივრების უფლების მინიჭების უფლებამოსილება ან დაინერგება სათანადო გაფილტვრის მექანიზმი. შერჩევის კრიტერიუმები ხელს შეუწყობს უზენაესი სასამართლოს მიერ მასზე დაკისრებული როლის ქმედით შესრულებას - დაიცვას პრეცედენტული სამართლის ერთგვაროვნება და ხელი შეუწყოს სამართლის განვითარებას.

g. *in abstracto* მხოჭავი განმარტებითი დებულებების ან ზოგადი მოსაზრებების მიღებას უზენაესი სასამართლოს პლენარულ სხდომებზე, შესაძლოა, პოზიტიური გავლენა ჰქონდეს პრეცედენტული სამართლის ერთგვაროვნებასა და სამართლის სიცხადეზე, მაგრამ შეიძლება პრობლემური აღმოჩნდეს ხელისუფლების უფლებამოსილების განაწილებაში სასამართლო სისტემის როლის კუთხით.

h. სააპელაციო სასამართლოებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ კანონების ერთგვაროვან გამოყენებაში.

i. უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ მაღალი ინსტანციების სასამართლოებში არსებობდეს მექანიზმები, რომლებიც სასამართლოს შიგნით არსებულ მიდგომებში შეუსაბამობებს აღმოფხვრის.

j. თუ არსებობს რამდენიმე საბოლოო ინსტანციის სასამართლო სამართლის კონკრეტულ სფეროებზე, არსებითია, რომ შიდა კანონმდებლობა ითვალისწინებდეს ფორმალურ ან არაფორმალურ მექანიზმებს ამ დამოუკიდებელ და ერთმანეთთან დაუკავშირებელ უმაღლეს სასამართლოებს შორის განსხვავებული მიდგომების აღმოსაფხვრელად, რათა ამ მექანიზმებს შედეგად კონსოლიდაცია მოჰყვეს.

k. როდესაც სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს არსებული პრეცედენტული სამართლიდან გადახვევას, ეს ნათლად უნდა იყოს მითითებული გადაწყვეტილებაში. დასაბუთებიდან მკაფიოდ უნდა იკვეთებოდეს, რომ მოსამართლემ იცოდა აღნიშნულ საკითხზე პრეცედენტული სამართლის განსხვავებული მიდგომის შესახებ და საფუძვლიანად უნდა იყოს განმარტებული, თუ რატომ არ გამოდგა არსებული პოზიცია წინამდებარე საქმეში.



l. არსებული პრეცედენტული სამართლის გადაწყვეტილება არ უნდა გავრცელდეს სხვა საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ გარემოებებზე, თუ საფუძვლიანი და კრიტიკული ანალიზის შედეგად გამოვლინდება, რომ განსახილველი საქმის ფაქტობრივი გარემოებები და კონტექსტი განსხვავებულია.

m. უზენაესი და სააპელაციო სასამართლოების პრეცედენტული სამართლის ადეკვატური ფორმით გასაჯაროება უაღრესად მნიშვნელოვანია კანონის ერთგვაროვანი გამოყენებისთვის.